ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 184

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა" და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქსს" (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 127[2] მუხლის, "აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა" და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქსს" (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 29 მაისის N19.598.766 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეიცვალოს აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა" და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქს"-ს (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N0-427-1-22706 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. და 1.2. პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად, „მეიჯარემ" გადასცა, ხოლო „მოიჯარემ" დროებით სარგებლობაში მიიღო ქ. თბილისში, შემდეგ მისამართებზე: ქუჩა ლესელიძე N13-ის

მიმდებარედ, ზოოპარკის მიმდებარედ, ვერის პარკი, გამზირი ჭავჭავაძე 74, კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის, გამზირი ილია ჭავჭავაძე N76, კუს ტბის მიმდებარედ, სანდრო ეულის ქუჩა და მზიურის პარკში მდებარე, ჯამში 48 კვ.მ ფართი.

1.2. „იჯარის ობიექტის" მახასიათებელია:

მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)
ქუჩა ლესელიძე N13-ის (კოტე აფხაზის) ნაკვეთის მიმდებარედ	01.18.03.047.003	8 კვ.მ მიწის
ზოოპარკის მიმდებარედ	01.14.14.009.067	8 კვ.მ მიწის ნაკვეთი
ვერის პარკი	01.15.03.010.095	8 კვ.მ მიწის ნაკვეთი
გამზირი ჭავჭავაძე 74, კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის, გამზირი ილია ჭავჭავაძე N76, კუს ტბის მიმდებარედ	01.14.10.002.084	8 კვ.მ მიწის ნაკვეთი
ქუჩა სანდრო ეული	01.14.04.026.028	8 კვ.მ მიწის ნაკვეთი
პარკი მზიური	01.14.14.005.156	8 კვ.მ მიწის ნაკვეთი".

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა" და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქსს" (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N9-427-1-22706 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.5 პუნქტის საფუძველზე, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**